სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

86691028588312

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N121214660

რეგისტრაციის თარიღი

08.11.2012 წ

ნოტარიუსი: ნუნუ გინტური
მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #47
ტელეფონი: 2935425

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათასთორმეტი წლის რვა ნოემბერს, მე ნოტარიუსს **ნ. გინტურს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47-ში, მომმართა **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ორთაჭალა 2012"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი: 204536467) თავმჯდომარემ ბატონმა **გიორგი ყურაშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ სურს ბატონ **გიორგი ჯალიაშვილისათვის** უფლებამოსილების მინიჭება და ამისათვის სათანადო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **გიორგი ყურაშვილის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გიორგი ყურაშვილმა** (დაბ: 22.04.1971 წელს თელავში, მისამართი: თელავი, ს. იყალთო, პირადი №20001050261, პ/მ №დ 1154593, გაც: 23.05.2008 წელს სრს თელავის სამსახურის მიერ) მომმართა. მე შევამოწმე **გიორგი ყურაშვილის** უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ორთაჭალა 2012"**. თანახმად დამფუძნებელ წევრთა კრების ოქმისა, რომელიც სანოტარო წესით დამოწმებულია 2012 წლის 07 ნოემბერს რ№121210071-ით ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ. მე შევამოწმე **გიორგი ყურაშვილის** ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე **გიორგი ყურაშვილის** ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წაუკითხე და განვუმარტე **გიორგი ყურაშვილს.** მან წაიკითხა მინდობილობა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. **გიორგი ყურაშვილმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათასთორმეტი წლის რვა ნოემბერი. **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ორთაჭალა 2012"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი: 204536467) თავმჯდომარემ **გიორგი ყურაშვილმა** (დაბ: 22.04.1971 წელს თელავში, მისამართი: თელავი, ს. იყალთო, პირადი №20001050261, პ/მ №დ 1154593, გაც: 23.05.2008 წელს სრს თელავის სამსახურის მიერ), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი", **გიორგი ჯალიაშვილს** (დაბადებული 02.05.1974 წელს თბილის, მისამართი: ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №21, პირადი №01030031016, პ/მ №ბ 1314200, გაც. 06.07.2009წ. სრს დიდუბე–ჩუღურეთის სამსახურის მიერ), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: „მინდობილი პირი" უფლებამოსილია იყოს **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ორთაჭალა 2012"-ს** სრულუფლებიანი და შეუზღუდავი წარმომადგენელი ნებისმიერი საქმიანობის საწარმოებლად. კერძოდ, მართოს და განკარგოს **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ორთაჭალა 2012"-ს** კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება, ასევე წარმოადგინოს **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ორთაჭალა 2012"-ს** ინტერესები სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, სანოტარო ბიუროში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქ. თბილისის მერიაში, თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - თბილისის არქიტექტურაში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ხელზე მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტაციას, მიიღოს და წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, გამოითხოვოს ინფორმაცია, შეიტანოს განცხადებები, გადაიხადოს საჭირო გადასახდელები, ასევე გახსნას ამხანაგობის ანგარიშები ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, მართოს და განკარგოს მხანაგობის კუთვნილი ანგარიშები ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, აწარმოოს ამხანაგობის კუთვნილ ანგარიშებზე ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია, მათ შორის თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა, კონვერტაცია, ისარგებლოს

ინტერნეტ ბანკინგით, და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოხსენებული დავალებების შესრულებასთან.
მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით – ხუთი (5) წლით და ძალაშია ორიათასჩვიდმეტი (2017) წლის რვა (08) ნოემბრის ჩათვლით.
წინამდებარე მინდობილობა შედგენილია **ოთხ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნ. გინტურის სანოტარო არქივში, მდებარე ქ. თბილისი, მ. კოსტავას 47, ხოლო დანარჩენი გადაეცა „მიმნდობს“.
წინამდებარე მინდობილობა „მიმნდობს“ ხმამაღლა წაუკითხა ნოტარიუსმა. „მიმნობმა“ მოიწონა წინამდებარე მინდობილობა და მას ხელი მოაწერა პირადად და ნოტარიუსის თანდასწრებით.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: ათი (10) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 (2011 წლის 29 დეკემბერი) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, აგრეთვე დ.ღ.გ. ერთი (1) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ორი (2) ლარი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: ცამეტი (13) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი.

მიმნდობი: ---------

ნოტარიუსი: ---------- / ნ. გინტური /

საქართველო

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01030031016

სახელი გიორგი

გვარი ჯალიაშვილი

დაბადების თარიღი 02.05.1974

დაბადების ადგილი თბილისი

№ ბ 1314200

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბილისი ე.ნინოშვილის ქ. N 21

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახური

გაცემის თარიღი 06.07.2009

მოქმედების ვადა 06.07.2019

რეგისტრაციის თარიღი 03.06.2002

ბ.ა. უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დებულება

ამხანაგობა

“ორთაჭალა 2012”

(ახალი რედაქცია)

თბილისი
2012

ორიათასშვიდი წლის ოცდაცხრა მარტს, ნოტარიუს ნ. ბინტურის მიერ დამოწმებულ სანოტარო აქტში ამხანაგობა „ორთაჭალის ვარსკვლავი“-ს დაფუძნების შესახებ, რეესტრში რეგისტრაციის №1-4337, შევიდეს ცვლილები და დამატებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

წინამდებარე დებულების მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ამხანაგობა“ – ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ორთაჭალა 2012“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204536467).

„ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება“– (შემდგომში – საერთო კრება) ამხანაგობის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება დამფუძნებელი წევრებისაგან. საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად ამხანაგობის ყველა წევრისათვის;

“ამხანაგობის დამფუძნებელი წევრი” – წინამდებარე დებულების 1.2 მუხლით გათვალისწინებული ფიზიკური და/ან იურიდიული პირი;

„ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრი“ – ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, რომლებიც სრულად შეასრულებენ ამხანაგობის წინაშე წინამდებარე დებულებითა და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და საერთო კრების მიერ მიღებულ იქნებიან ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრად;

“ამხანაგობის წევრობის კანდიდატი” – ნებისმიერი პირი, რომელიც გამოთქვამს სურვილს გახდეს ამხანაგობის წევრი და შეასრულებს წინამდებარე დებულებითა და სამომავლოდ გასაფორმებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

“მხარეები” – წინამდებარე დებულებისათვის მხარეებად განიხილებიან: “ამხანაგობის დამფუძნებელი წევრი”, „ამხანაგობის წევრი“ და “ამხანაგობის წევრობის კანდიდატი”;

“ობიექტი” – ქ. თბილისში გულუას ქ.№1-ში მდებარე მიწის ნაკვეთი

„წილი“– შენობის და მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელზედაც საკუთრების ან საკუთრებაზე მოთხოვნის უფლებას იძენს მხარე.

1. ამხანაგობის სახელწოდება და მონაწილეები (დამფუძნებლები)

1.1. ამხანაგობის სახელწოდებაა – „ორთაჭალა 2012“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204536467)
1.2. ამხანაგობის წევრები (დამფუძნებლები) არიან:
– გივი კაპანაძე; - 63
– გიორგი ყურაშვილი - 27%
– შპს “ორთაჭალა 2007” 10%
1.3. ამხანაგობის ერთერთი წევრის უფლებაუნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში (გარდაცვალება), მის ადგილს კანონით დადგენილი წესით იკავებს მემკვიდრე.
1.4. ამხანაგობის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, გულუას ქ. 1

2. ამხანაგობის მიზანი

2.1. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მიზანს წარმოადგენს თბილისში გულუას ქ. 1-ში. მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი/მრავალფუნქციური დანიშნულების შენობა-ნაგებობის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც “ობიექტი”) მშენებლობა.
2.2. დასახული მიზნის, კერძოდ კი ობიექტის მშენებლობის განსახორციელებლად, შეიქმნა წინამდებარე ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა, იურიდიული პირის შეუქმნელად, რომელიც არსებობს ფუნქციონირებს და მოქმედებს ობიექტის მშენებლობის დასრულებამდე;

3. მონაწილეთა შენატანი ამხანაგობაში და სხვა ვალდებულებები

3.1. ამხანაგობის ყველა წევრები ვალდებულებას იღებენ გაიღონ ყველა ხარჯი, რაც აუცილებელი იქნება ამხანაგობის მიზნების მისაღწევად.

3.2. დამფუძნებელი წევრების შენატანი ამხანაგობაში განისაზღვრება 2007 წლის 29 მარტს ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ გაფორმებული №1-4337 სანოტარო აქტის საფუძველზე განხორციელებული შენატანებით;

4. მესამე პირისათვის წილის გადაცემის წესი

4.1. ამხანაგობის თითოეულ წევრს უფლება აქვს თავისი წილი (წილის ნაწილი) გადასცეს მესამე პირს. წილის გადაცემა გულისხმობს უფლების გადაცემას და არა წილის შესაბამისი მატერიალური ნივთის (მიწის ნაკვეთი და სხვა) გასხვისებას. წილის გასხვისება საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას.
4.2. წილის გასხვისების შემთხვევაში ამხანაგობის თითოეულ მონაწილეს აქვს მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

5. მონწილეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 ამხანაგობის თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს დაუბრკოლებლად გაეცნოს ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტაციას და მიიღოს სხვა ინფორმაცია.
5.2 ამხანაგობის თითოეული წევრი,საკუთარი ფართის განკარგვისას ვალდებულია დაიცვას შენობის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი და არ მოიმოქმედოს არაფერი, რაც გამოიწვევს პროექტის დარღვევას, ეს განსაკუთრებით ეხება შენობის ფასადს.
5.3 ამხანაგობის თითოეული წევრი სარგებლობს საკუთარი ფართის განკარგვის (გაყიდვის, გასხვისების, დაგირავების და ა.შ.) უფლებით.

6. ამხანაგობის მართვა

6.1 ამხანაგობის მართვის ორგანოებია:
ა) ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება;
ბ) ამხანაგობის თავმჯდომარე.
გ) ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს უფლება აქვთ შექნან ამხანაგობის გამგეობა.

7. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება

7.1 ამხანაგობის მართვას ახორციელებს დამფუძნებელ წევრთა საეთო კრება. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება არის ამხანაგობის უმაღლესი ორგანო;
7.2 კრების მოწვევა შესაძლებელია ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრის მოთხოვნის საფუძველზე. მოწვევა უნდა განხორციელდეს სხვა წევრებისათვის 3 დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს: კრების ჩატარების ადგილი და თარიღი, განსახილველი საკითხები.
7.3 კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება დამფუძნებელ წევრთა უმრავლესობა. ამხანაგობის წევრთა საერთო კრება გადაწვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით;
7.4 წევრთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს ყველა საკითხზე, რომელთა განხილვასაც ის ჩათვლის თავის კომპეტენციაში. კრების კომპეტენციას აუცილებლად განეკუთვნება საკითხები.

ა. ამხანაგობის სტრატეგიული საკითხების მართვა;
ბ. ამხანაგობის საფინანსო საქმიანობაზე ზოგადი ზედამხედველობა;
გ. ამხანაგობის წევრთა ინფორმაციული უზრუნველყოფა ობიექტის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ;
დ. ამხანაგობის წევრობის კანდიდატების ამხანაგობის წევრებად მიღება, მათი წილობრივი საკუთრების განსაზღვრა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირება;
ე. ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევის და გადაყენების შესახებ.

ი. ამხანაგობის მშენებარე პროექტებში ცვლილებების დამტკიცება, სახლის ექსპლუატაციაში მიღება, პროექტის ლეგალიზაცია.
ზ. სესხებისა და კრედიტების საკითხების განხილვა-დამტკიცება.
თ. წინამდებარე დებულებაში ცვლილება-დამატების შეტანა;.

7.5. მონაწილეები გადაწყვეტილებას იღებენ წევრთა უმრავლესობით. ერთ მონაწილეს აქვს ერთი ხმა მიუხედავად წილისა.

7.6 მონაწილეები ვალდებულნი არიან არ გამოეხმაურონ ამხანაგობის საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

8. ამხანაგობის თავმჯდომარე

8.1. მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას გაუძღვება თავმჯდომარე.

8.2. ამხანაგობის თავმჯდომარე წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობასა და სასამართლოში, დებს გარიგებას ამხანაგობის სახელით.

8.3. ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.

8.4. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. იგი პასუხს აგებს ამხანაგობის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის.

8.5. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

8.6. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს ამხანაგობის მონაწილეებს.

8.7. ამხანაგობის თავმჯდომარეს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვას ერთობლივი საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება ხმათა უმრავლესობით, იმ შემთხვევაში, თუ იგი უხეშად დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

9. ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრები და მათი ძირითადი უფლება-მოვალეობები

9.1. ნებისმიერი პირი, რომელიც გამოთქვამს სურვილს გახდეს ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრი უნდა აღიარებდეს და ეთანხმებოდეს წინამდებარე ამხანაგობის დებულებას, მასში მითითებულ უფლება-მოვალეობებს და მიიჩნევდეს წინამდებარე დებულების პირობებს სავალდებულოდ;

9.2. ამხანაგობის ჩვეულებრივ წევრად მიღების საკითხი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: (ა) ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის პირი ხდება ამხანაგობის წევრობის კანდიდატი, (ბ) მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული შესრულებისა და ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე – ამხანაგობის წევრი.

9.3. ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრის მიღებისას, ამხანაგობის თავმჯდომარე ამხანაგობის წევრობის კანდიდატთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, განსაზღვრავს მისაღები წევრის წილს, საკუთრებაში მისაღები ქონების იდენტიფიკაციით.

9.4. ამხანაგობის ყოველი წევრობის კანდიდატი ვალდებულია შეთანხმებულ ვადაში და ოდენობით განახორციელოს დათქმული შენატანები ამხანაგობაში;

9.5. ამხანაგობის ნებისმიერი წევრი, საკუთარი ფართის განკარგვისას, ვალდებულია დაიცვას შენობის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი და არ განახორციელოს ისეთი მოქმედება, რაც გამოიწვევს პროექტის დარღვევას. ეს განსაკუთრებით ეხება შენობის გარე ფასადს.

10.ამხანაგობის წევრობის კანდიდატის/ამხანაგობის წევრის ამხანაგობიდან გასვლა

10.1. ამხანაგობის წევრობის კანდიდატს/ამხანაგობის ჩვეულებრივ წევრს ნებისმიერ დროს, გარდა წინამდებარე დებულების 12.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, შეუძლია გავიდეს ამხანაგობიდან. ამხანაგობის წევრობის კანდიდატის/ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრის გასვლა ამხანაგობიდან არ იწვევს ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტას;

ამხანაგობიდან გასვლის მსურველმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს თავმჯდომარეს, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას წევრობის კანდიდატის/ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრის ამხანაგობიდან გასვლის შესახებ. გადაწყვეტილება წევრობის კანდიდატის/ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრის ამხანაგობიდან გასვლის შესახებ მიღებული უნდა იყოს განცხადების წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

10.3. წევრობის კანდიდატის/ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრის გასვლის შედეგად ამხანაგობისათვის შესაძლო ზიანის ან მატერიალური დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც წევრობის კანდიდატის/ამხანაგობის ცვეულებრივი წევრის გასვლისას გამოთავისუფლებული ფართი გადაეცემა ახალ წევრობის კანდიდატს და ამ უკანასკნელის მიერ სრულად იქნება დაფარული წევრობის კანდიდატის/ ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრის გასასვლელად საკმარისი საწევრო შენატანი. ამასთან, დასაბრუნებელ თანხას პირგასამტეხლოს სახით გამოაკლდება 10% (ათი პროცენტი) და ამ მოქმედებასთან დაკავშირებული საჭირო ხარჯები.

11. ამხანაგობის წევრობის კანდიდატთან ხელშეკრულების მოშლა და წილის კომპენსაცია

11.1. ამხანაგობის წევრობის კანდიდატთან შესაძლებელია შეწყდეს ხელშეკრულება, თუ იგი არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს მის ვალდებულებას, შენატანის შეტანის თაობაზე.

11.2. ამხანაგობის წევრობის კანდიდატთან შესაძლებელია შეწყდეს ხელშეკრულება იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არ ემორჩილება და სიტემატურად არღვევს წინამდებარე დებულებას, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგებათ ამხანაგობის დანარჩენ წევრებს.

11.3. შენატანის განუხორციელებლობისას ან ვადის გადაცილების შემთხვევაში, ამხანაგობის თავმჯდომარე ამგვარ წევრს განუსაზღვრავს დამატებით ვადას შენატანის განსახორციელებლად. თუ დათქმულ ვადაშიც შენატანი არ განხორციელდება, თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას მასთან ხელშეკრულების მოშლის თაობაზე.

11.4. წევრობის კანდიდატთან ხელშეკრულების მოშლის შედეგად გამოთავისუფლებული ფართი შემდგომში განაწილდება საერთო წესით ამხანაგობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

11.5. ამხანაგობის წევრობის კანდიდატს, მე-11 მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, უკან დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი თანხა. ამასთან, დასაბრუნებელ თანხას პირგასამტეხლოს სახით გამოაკლდება 10% (ათი პროცენტი) და ამ მოქმედებასთან დაკავშირებული საჭირო ხარჯები. თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც წევრობის კანდიდატის მიერ გამოთავისუფლებული ფართი განაწილებული იქნება.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1. მხარეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად.

12.2. მხარეები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ ამ საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

12.3. მხარეებს უფლება არა აქვთ ვადამდე შეწყვიტონ ამ დებულების მოქმედება, გარდა მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა და პირობებით.

12.4. ამხანაგობიდან გასვლა დაუშვებელია ისეთ დროს ან ისეთ გარემოებაში, რაც ზიანს შეუქმნის ერთობლივ საქმიანობას.

12.5. მხარეთა მიერ დებულების პირობების ბრალეულად დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ასეთი მოქმედებით მიყენებული ზიანი.

13. ამხანაგობის ვადა

ანაგობა შექმნილია საცხოვრებელი სახლის აშენების ვადით და იგი არსებობას წყვეტს საცხოვრებელი სახლის აშენების, მისი ექსპლუატაციაში მიღების, ბინების ამხანაგობის წევრებზე განაწილების და დადგენილი წესით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
13.2. ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ დგება შესაბამისი აქტი, რომელსაც ხელს აწერს ამხანაგობის თავმჯდომარე.
13.3. ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება:
ა) თუ ამხანაგობაში დარჩა ერთი მონაწილე;
ბ) ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის გახსნით ;
გ) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა გაფორმდეს სანოტარო აქტით.
13.4. მონაწილეებს უფლება აქვთ საცხოვრებელი სახლის აშენების და მისი ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ შექმნან ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა.

14. დასკვნითი დებულებანი

14.1. დებულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და დამტკიცებულია გამგეობის მიერ.
14.2. დებულების რომელიმე პუნქტის შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა არ იქონიებს გავლენას მხარეთა მიერ ამ დებულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულებაზე.
14.3. თუ წინამდებარე დებულების მოქმედების ვადის განმავლობაში რომელიმე მუხლი თუ პუნქტი კანონის საფუძველზე მიიჩნევა ძალადაკარგულად, აღნიშნული ცვლილება გავლენას არ იქონიებს დებულების სხვა ნებისმიერი მუხლისა თუ პუნქტის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.

ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები:

საქართველო

ორიათასთორმეტი წლის შვიდ ნოემბერს მე, **ნ. გინტურს,** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47, მომმართეს **გივი კაპანაძემ, გიორგი ყურაშვილმა** პირადად და როგორც **შპს "ორთაჭალა 2007"-ის** (რეგისტრირებული 21.12.2006 წელს, საიდენტიფიკაციო №205187135, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას IV კვ. კორპ. 15, ბინა 5) დირექტორმა. **გივი კაპანაძემ და გიორგი ყურაშვილმა** წარმოადგინეს *ამხანაგობა „ორთაჭალა 2007"-ის დებულების ახალი რედაქცია* და მოითხოვეს მასზე მათი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გივი კაპანაძემ** (დაბ: 15.07.1984 წელს თბილისში, მცხოვრები: თბილისი, ზარზმის ქ. №21, ბინა 55, პირადობის მოწმობა №ა 1360788, პირადი №01004008274, გაც: 17.03.2010 წელს სრს გლდანის სამსახურის მიერ) და **გიორგი ყურაშვილმა** (დაბადებული: 22.04.1971 წელს თელავში, მცხოვრები: თელავი, ს. იყალთო, პ/მ №დ 1154593, პირადი №20001050261, გაცემული: 23.05.2008 წელს სრს თელავის სამსახურის მიერ) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგ ხელმომწერებმა განაცხადეს, რომ წინამდბარე ტექსტი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი მას, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: ოცდაორი (22) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507 (2011 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურეობის ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, აგრეთვე დ.ღ.გ. სამი (3) ლარი და ოთხმოცდათექვსმეტი (96) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ორი (2) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507-ის 39 მუხლისა, სულ გადახდილია: ოცდაშვიდი (27) ლარი და ოთხმოცდათექვსმეტი (96) თეთრი.

ნოტარიუსი: ---------- / ნ. გინტური /

შეკერილია და დანომრილია
ფურცლად
ნოტარიუსი:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N121210077
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	07.11.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნუნუ გინტური
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #47
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2935425
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	60222518368312

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18